საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

დადგენილება №8

2018 წლის 25 დეკემბერი

ქ. თბილისი

,,ნუმერაციის რესურსის გაცემის, გამოყენებისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 21 თებერვლის №2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

,,ნუმერაციის რესურსის გაცემის, გამოყენებისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 21 თებერვლის №2 დადგენილებაში (სსმ, 24.02. 2012.) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 21 თებერვლის №2 დადგენილებით დამტკიცებულ ,,ნუმერაციის რესურსის გაცემის, გამოყენებისა და ანგარიშსწორების წესებში" შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-4 მუხლის ,,გ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა"ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ა) მობილური ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით და საშუალებებით მომსახურების ორგანიზებისათვის და ამ ქსელების აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისათვის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლება გაიცემა მინიმუმ 5 000 (ხუთი ათასი) სააბონენტო ნომრისგან შემდგარ სააბონენტო ნუმერაციის ბლოკზე, ხოლო მაქსიმუმ – მინიმალური ოდენობის 10-ჯერად სააბონენტო ნუმერაციის თანმიმდევრულ ბლოკზე;"

დ) მე-8 მუხლის ,,ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მობილური ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით და საშუალებებით მომსახურების ორგანიზებისათვის და ამ ქსელების აბონენტების ტერმინალური მოწყობილობების იდენტიფიცირებისათვის შეადგენს – 0,25 ლარს 1 სააბონენტო ნომერზე;";

ე) მე-19 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ამოღებულ იქნეს;

ვ) მე-19 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. პირებს, რომლებიც ფლობენ ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლებას ნუმერაციის არასრულ ბლოკზე, უფლება აქვთ მიიღონ ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლება მათ სარგებლობაში არსებული ბლოკის შესავსებად.".

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის წევრი	**მერაბ ქათამაძე**
თავმჯდომარე	**კახი ბექაური**
კომისიის წევრი	**ვახტანგ აბაშიძე**